



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №165

2013 წლის 28 ნოემბერი

ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #237 განკარგულებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #237 განკარგულების შესაბამისად დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში.
2. ცვლილებების გათვალისწინებით განკარგულება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
3. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის

მუნიციპალიტეტის სასამართლოში (მის: ქ.ხაშური, კოსტავას ქ. #13) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების

ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო მოიცავს: ქ. ხაშურის მუნიციპალიტეტში განთავსებულ მთავარ ბიბლიოთეკას, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის საბავშვო ბიბლიოთეკას და დაბა სურამში განთავსებულ ბიბლიოთეკას, რომელიც ემსახურება როგორც ადგილობრივ ასევე საკურორტო სეზონის დროს ჩამოსულ დამსვენებლებს.

ბიბლიოთეკა არის კულტურულ საგანმანათლებლო და საინფორმაციო დაწესებულება რომელიც მომხმარებელს უზრუნველყოფს არამარტო წიგნით არამედ პრესით და ინტერნეტით.

პროგრამის მიზანი

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების საქმიანობის ხელშეწყობა.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები

- მუნიციპალიტეტსა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები მკითხველების სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები);
- შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ასე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცვლის საშუალებით;
- ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნთმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობისათვის ხელშეწყობა;
- საბიბლიოთეკო საქმის ინფორმაციული ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა;
- არსებული წიგნადი ფონდის გადარჩევა და მომზადება ელექტრონული საინფორმაციო ბაზისათვის;
- ელექტრონული მედიათეკის შექმნა;
- წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით;

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 102514 ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიური კლასიფიკაცია	ხარჯების ეკონომიური კლასიფიკაციის მუხლები	სულ სუბსიდიების ოდენობა
21	შრომის ანაზღაურებას შრომის	73255
22	საქონელი და მომსახურება	29259
	სულ	102514

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რიცხვის ზრდა.
- ბიბლიოთეკით მომსახურების გაუმჯობესება.
- სერვისით მომსახურების გაუმჯობესება.